პროექტი

დანართი 2

იჯარის ხელშეკრულება №

ქ. თბილისი ----------2026 წელი

ერთის მხრივ სს „საქართველოს რკინიგზა“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 202886010), შემდგომში („მეიჯარე“), წარმომადგენელი [●] სახით, მინდობილობა ---) და მეორეს მხრივ [●] შემდგომში („მოიჯარე“)

„მეიჯარე“ და „მოიჯარე“ შემდგომში ერთად ან ცალ-ცალკე შესაბამისად „მხარედ“ ან „მხარეებად“ წოდებულნი

პრეამბულა

სს „საქართველოს რკინიგზის“ დირექტორთა საბჭოს 2026 წლის --- დადგენილების, სს „საქართველოს რკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭოს 2026 წლის -- №-- სხდომის ოქმის (საკითხი ---), სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ 2026 წლის --- №--- და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2026 წლის --- № --- წერილების, და სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ 2026 წელს გამოცხადებული №--- ელექტრონული აუქციონის შედეგების საფუძველზე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

„მეიჯარე” დროებით სარგებლობაში გადასცემს, ხოლო „მოიჯარე“ იჯარის უფლებით სარგებლობაში იღებს სს „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებაში არსებული, სადგურ ბეღლევში მდებარე 18,5 კვ.მ. ფართს (შენობის SAP ბარათის N213000000604, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 32.06.36.010) (შემდგომში „იჯარის საგანი“).

2. იჯარის ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1.1 იჯარის ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ერთი წლის ვადით.

3. იჯარის საგნის გადაცემის წესი

3.1. იჯარის საგნის გადაცემა „მოიჯარისათვის“ განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით;

3.2. მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.3. „იჯარის საგნის“ შემთხვევითი დაზიანების რისკი, აგრეთვე მისი მოვლა-პატრონობის ვალდებულება „მოიჯარეზე“ გადადის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან.

4. საიჯარო ქირა და ანგარიშსწორების წესი

4.1 საიჯარო ქირა ყოველთვიურად შეადგენს ------- ლარს, (დღგ-ს ჩათვლით) (შემდგომში **„საიჯარო ქირა“**);

4.2 **„მოიჯარე“** ვალდებულია **„საიჯარო ქირა“** **„მეიჯარეს“** გადაუხადოს არაუგვიანეს ყოველი საანგარიშსწორებო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვამდე, უნაღდო ანგარიშწორების გზით, **„მეიჯარის“** შემდეგ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით: ს/ს „თი ბი სი“ ბანკი მარჯანიშვილის ფილიალი, ბანკის კოდი: TBCBGE22, საიდენტიფიკაციო კოდი N202886010, ანგარიშის ნომერი: GE67TB 1159136020100001, ეროვნულ ვალუტაში;

4.3 ანგარიშსწორების მიზნებისთვის, არასრული თვის შემთხვევაში, **„საიჯარო ქირის“** ოდენობა დაანგარიშდება დღეთა პროპორციულად;

4.4 **„საიჯარო ქირის“** წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში სრულად ან/და ჯეროვნად გადაუხდელობის შემთხვევაში **„მოიჯარეს“** დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით;

4.5 წინამდებარე ხელშეკრულების 4.4 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო **„მოიჯარეს“** დაერიცხება წინასწარი გაფრთხილების გარეშე, ვალდებულების დარღვევის დღიდან. ამასთან, დარიცხული პირგასამტეხლოს მთლიანი მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ჯამური საიჯარო ქირის 10%-ს;

4.6 თუ **„მოიჯარის“** მხრიდან პირდაპირ არ იქნება მითითებული თუ რომელ დავალიანებას ფარავს, **„მოიჯარის“** მიერ ჩარიცხული თანხით თავდაპირველად დაიფარება პირგასამტეხლო, შემდგომ საიჯარო დავალიანების ძირი თანხა (ქირა) და ზიანი;

4.7 **„საიჯარო ქირის“** ყოველთვიური დარიცხვა განხორციელდება საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 დღის ვადაში, რომელზეც შედგება შემოსავლის ადმინისტრირების საბუთი, რის საფუძველზეც გამოიწერება დამატებითი ღირებულების გადასახადის ანგარიშფაქტურა;

4.8 ყოველი კალენდარული წლის ბოლოს, მხარეებს შორის შესაძლებელია შედგეს ურთიერთშედარების აქტი, რომლითაც დადასტურდება ხელშეკრულების ფარგლებში არსებული ფინანსური ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობა და ნაშთები; იმ შემთხვევაში, თუ არ შედგება ურთიერთშედარების აქტი, აღნიშნული ჩანაცვლდება ხელშეკრულების ადმინისტრატორის მიერ წარმოებული შესაბამისი დოკუმენტით.

4.9 **„მოიჯარის“** მიერ „ბე“-ს (საგარანტიო თანხა) სახით გადახდილი თანხა - ----- ლარი (დღგ-ს ჩათვლით), ჩაითვლება ბოლო ორი თვის საიჯარო ქირის ანგარიშში.

5. მხარეთა განცხადებები, უფლებები და ვალდებულებები

5.1. „მეიჯარის“ საკუთრების უფლება „იჯარის საგანზე“ დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

5.2. „მეიჯარე“ადასტურებს, რომ „იჯარის საგანი“ უნაკლოა, იგი არ არის დაგირავებული ან დაყადაღებული და მესამე პირებს არ გააჩნიათ მის მიმართ რაიმე მოთხოვნა, რაც დასტურდება შესაბამისი ამონაწერით.

5.3. „მეიჯარე“ იძლევა გარანტიას/აცხადებს/ადასტურებს, რომ მას აქვს სრული უფლებამოსილება და მიღებული აქვს ყველა საჭირო თანხმობა და ნებართვა, რათა დადოს ეს ხელშეკრულება და შეასრულოს მისგან გამომდინარე ვალდებულებები.

5.4. „მოიჯარე“ იძლევა გარანტიას/აცხადებს/ადასტურებს რომ: იგი გაცნობილია სსიპ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ ყველა დოკუმენტს „იჯარის საგნის“ თაობაზე, ზედმიწევნით არის გაცნობილი „აუქციონზე“ გამოქვეყნებული დოკუმენტაციის შინაარსს, მისი უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ განხორციელდა „იჯარის საგნის“ ადგილზე დათვალიერება, „მეიჯარისაგან“ ყველა დაკავშირებული ინფორმაციის მიღება და მისთვის სრულად არის მისაღები „იჯარის საგნის“ მდგომარეობა.

5.5 „მეიჯარეს“ უფლება აქვს:

5.5.1. წინასწარი გაფრთხილების გარეშე, ნებისმიერ დროს, შეუფერხებლად დაათვალიეროს „იჯარის საგანი“, მათ შორის, შეამოწმოს „მოიჯარის“ მიერ ტექნიკური უსაფრთხოების და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მდგომარეობა;

5.5.2. მოითხოვოს „მოიჯარის“ მიერ “იჯარის საგნის“ დაზიანების ან გაუარესების შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურება;

5.5.3. მოითხოვოს და „მოიჯარისაგან“ მიიღოს „საიჯარო ქირა“ და მასზე დარიცხული პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

5.5.4. „საიჯარო ქირის“ ან/და „დავალიანების“ გადახდისათვის დადგენილი ვადის გადაცილებისას, მოსთხოვოს „მოიჯარეს“ პირგასამტეხლოს გადახდა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალიწინებული ოდენობით.

5.5.5. მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ვადიან სარგებლობაში გადასცეს “მოიჯარეს” „იჯარის საგანი“;

5.5.6. “მეიჯარის“ მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ პირს წარმოადგენს სადგური ზესტაფონის დირექტორი ----------, ხოლო ხელშეკრულების ადმინისტრატორის ფუნქცია ეკისრება ფილიალ „სატვირთო გადაზიდვების“ ქონების მართვის ცენტრის უფროსს მ. გოძიაშვილს;

5.5.7. სრულად და ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები;

5.6. „მოიჯარეს“ უფლება აქვს:

5.6.1. „იჯარის საგანი“ ქვეიჯარით გასცეს მხოლოდ „მეიჯარის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე;

5.6.2. „მეიჯარესთან“ შეთანხმებით, ჩაუტაროს „იჯარის საგანს“ კაპიტალური სარემონტო ან სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რომელთა ღირებულება „მეიჯარის“ მიერ არ ანაზღაურდება;

5.6.3. მოსთხოვოს „მეიჯარეს“ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

5.7. „მეიჯარე“ ვალდებულია:

5.7.1. სრულად და ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული

ვალდებულებები.

5.8. „მოიჯარე“ ვალდებულია:

5.8.1. ხელი არ შეუშალოს „მეიჯარის“ საოპერაციო საქმიანობას.

5.8.2. დროულად, სრულად და ჯეროვნად გადაუხადოს „მეიჯარეს“ „საიჯარო ქირა“ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და ოდენობითა.

5.8.3. საჭიროების შემთხვევაში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შესაბამისი კომუნალური მომსახურების გამწევ ორგანიზაციებში (ელ. ენერგია, ბუნებრივი აირი, წყალმომარაგება, დასუფთავება) აბონენტად რეგისტრაცია, იჯარის მოქმედების მთელ პერიოდზე და უზრუნველყოს შესაბამის ლიცენზიანტებისათვის გადასახადების დროული გადახდა.

5.8.4. უზრუნველყოს საიჯარო ფართის მოვლა-პატრონობა, უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა.

5.8.5. აუნაზღაუროს „მეიჯარეს“ „იჯარის საგნის“ დაზიანებით ან გაუარესებით გამოწვეული ზიანი, გარდა ჩვეულებრივი მიმდინარე ცვეთისა.

5.8.6. თუ „მეიჯარეს“ საკუთარი მიზნებისათვის ესაჭიროება „იჯარის საგანი“, მოიჯარე ვალდებულია მეიჯარის პირველი მოთხოვნისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 1 თვის ვადაში უპირობოდ გაათავისუფლოს/დააბრუნოს იჯარით გადაცემული ქონება. ამ ვადის დარღვევის შემთხვევაში, მოიჯარეზე გავრცელდება წინამდებარე ხელშეკრულების მე-10 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

5.8.7. დაიცვას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობების, ნორმატიული დოკუმენტების, სამშენებლო-ტექნიკური ნორმებისა და წესების, სახანძრო უსაფრთხოების და სანიტარულ-ჰიგიენური წესების მოთხოვნები.

5.8.8. იჯარის საგანი“ „მეიჯარეს“ დაუბრუნოს იმ მდგომარეობაში, რომელშიც მისგან მიიღო, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული დებულებების გათვალისწინებით.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. „საიჯარო ქირის“ ან/და „დავალიანების“ წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში სრულად და ჯეროვნად გადაუხდელობის შემთხვევაში „მოიჯარეს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1.%-ის ოდენობით. პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება საიჯარო ქირის გადასახდელი ნაწილის სრულად გადახდამდე ან „მეიჯარის“ მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტამდე, იმის მიხედვით რომელი გარემოებაც დადგება უფრო ადრე.

6.2. წინამდებარე იჯარის ხელშეკრულების 6.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო „მოიჯარეს“ ეკისრება წინასწარი გაფრთხილების გარეშე და ჯარიმა არ უნდა აღემატებოდეს ჯამური საიჯარო ქირის 10%-ს.

6.3. „იჯარის საგნის“ ნებისმიერი სახით დაზიანების, ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტექნიკური/უსაფრთხოების ნორმებისა და სხვა დარღვევების შემთხვევაში, მოიჯარეს დაეკისრება ჯარიმა თითოეულ დარღვევაზე დამოუკიდებლად წლიური საიჯარო ქირის 10%-ის ოდენობით. ამასთან, ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს მოიჯარეს მიყენებული რეალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

6.4. მხარეები ვალდებულნი არიან აუნაზღაურონ ერთმანეთს ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანი, რომლის ანაზღაურების წესი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

7.1. საიჯარო ურთიერთობა შეიძლება შეწყდეს:

7.1.1. მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით.

7.1.2. „მეიჯარე“ უფლებამისილია წინასწარი წერილობითი გაფრთხილების საფუძველზე ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება თუ მოიჯარე:

ა) დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს (მათ შორის ანგარიშსწორების წესის დარღვევა) ან/და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ბ) მნიშვნელოვნად აზიანებს ან ქმნის „იჯარის საგნის“ დაზიანების რეალურ საფრთხეს.

გ) „მოიჯარეს“ არ ექნება გადახდილი საიჯარო ქირა დადგენილ ვადაში (პირგასამტეხლოს გარეშე).

დ) გაფრთხილებით გათვალისწინებულ ვადაში არ აღმოფხვრის დარღვევას ან უარს განაცხადებს „საიჯარო ქირის“ ან/და პირგასამტეხლოს გადახდაზე.

ე) „მეიჯარეს” საკუთარი მიზნებისთვის ესაჭიროება წინანდებარე ხელშეკრულების საფუძველზე იჯარით გაცემული ქონება; ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების შეწყვეტა განხორციელდება ხელშეკრულების 5.8.6 პუნქტის შესაბამისად.

7.1.3. კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

7.2. საიჯარო ურთიერთობა შეწყვეტილად ითვლება იჯარის მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში.

8. „იჯარის საგანზე“ საკუთრების უფლება

8.1. „იჯარის საგანი“ რჩება მეიჯარის საკუთრებაში და იმყოფება „მოიჯარის“ დროებით სარგებლობაში. „იჯარის საგნის“ გამოყენებით შექმნილი პროდუქცია და შემოსავალი, აგრეთვე ამ შემოსავლით შექმნილი ქონება ეკუთვნის „მოიჯარეს“.

8.2. ხელშეკრულების ვადის გასვლის ან შეწყვეტის შემთხვევაში, მოიჯარე ვალდებულია საკუთარი ხარჯებით მოახდინოს ყველა იმ გაუმჯობესების დემონტაჟი/აღება, რომელიც მან განახორციელა. იმ შემთხვევაში, თუ გაუმჯობესების გამოყოფა შეუძლებელია იჯარის საგნის დაუზიანებლად, აღნიშნული გაუმჯობესება უსასყიდლოდ გადადის მეიჯარის საკუთრებაში (მეიჯარის თანხმობის შემთხვევაში), ან მეიჯარის მოთხოვნის შემთხვევაში, მოიჯარე მაინც ვალდებულია მოახდინოს მისი დემონტაჟი და მიწის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა.

8.3. იმ შემთხვევში თუ „მოიჯარეს“, „მეიჯარის“ მიმართ წინამდებარე ხელშეკულების მოქმედების ვადის გასვლის ან ცალმხრივად შეწყვეტის შემდგომ ექნება დარჩენილი საიჯარო ქირის დავალიანება, მოთხოვნის უზრუნველსაყოფად „მეიჯარეს“ აქვს გირავნობის უფლება მოიჯარის მიერ „იჯარის საგანში“ შეტანილ ნივთებზე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები პასუხს არ აგებენ ხელშეკრულების პირობების ან მისი რომელიმე მათგანის შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომით. ამასთან, ამ მუხლის მიზნებისათვის, "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული "მეიჯარის" და/ან "მოიჯარის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებითა და სხვა.

9.2. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, ფორს-მაჟორის არსებობის თაობაზე სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოს დამადასტურებელი ცნობის (წერილის) თანდართვით. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით, აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული გზა, რომელიც დამოუკიდებელი იქნება ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების გასვლის შემდეგ საიჯარო ურთიერთობები გრძელდება ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს შეუძლებელია ქონების განადგურების გამო.

9.4. თუ ფორს-მაჟორული გარემოებები გრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, თითოეულ მხარეს აქვს უფლება მოშალოს ხელშეკრულება მეორე მხარისათვის სათანადო შეტყობინების გაგზავნის შემდეგ;

9.5. ფორს-მაჟორული მდგომარეობის შემთხვევაში, გარდა ზემოაღნიშნულისა მოქმედებს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დებულებები.

10. „იჯარის საგნის" დაბრუნების წესი

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის ან მისი სხვა საფუძვლით შეწყვეტის შემთხვევაში, „მოიჯარე" ვალდებულია შეწყვეტის დღიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში სრულად გამოათავისუფლოს და „მეიჯარეს" დაუბრუნოს „იჯარის საგანი" პირვანდელ (გაიჯარებამდე არსებულ) მდგომარეობაში, რაც დადასტურდება მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.

10.2. „იჯარის საგნის" პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნება გულისხმობს მის გათავისუფლებას „მოიჯარის" ნივთებისგან და მის მიერ განთავსებული ნებისმიერი შენობა-ნაგებობის დემონტაჟს/დასუფთავებასა და ნარჩენების საიჯარო ქონებიდან გატანას „მოიჯარის" ხარჯით.

10.3. თუ მოიჯარე დადგენილ ვადაში არ გამოათავისუფლებს იჯარის საგანს, იგი ვალდებულია „მეიჯარეს" გადაუხადოს:

ა) საიჯარო ქირა ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომ ქონების ფაქტობრივი სარგებლობის პერიოდისთვის;

ბ) დაყოვნებით მიყენებული ნებისმიერი სხვა ზიანი.

10.4. თუ მოიჯარე არ შეასრულებს ამ მუხლით განსაზღვრულ დემონტაჟისა და დასუფთავების/ნარჩენების გატანის ვალდებულებას, მეიჯარე უფლებამოსილია თავად

უზრუნველყოს აღნიშნული, ასეთ შემთხვევაში, მეიჯარის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება სრულად დაეკისრება მოიჯარეს. ამასთან, მეიჯარე არ არის პასუხისმგებელი ამ პროცესში მოიჯარის ქონების/მასალების ნებისმიერ დაზიანებაზე ან განადგურებაზე.

11. დასკვნითი დებულებები

11.1. თითოეული მხარე იღებს ვალდებულებას დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
11.2. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას არ გაახმაურონ კონფედენციალური ცნობები, რომელიცმათთვის ცნობილი გახდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.
11.3. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება შეიძლება შევიდეს მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
11.4. ის საკითხები, რომლებიც ამ ხელშეკრულებით არ არის დარეგულირებული, განიმარტება და რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
11.5. მხარეთა შორის ნებისმიერი შეტყობინება ხორციელდება წერილობით. წერილობითი შეტყობინება მხარეს უნდა გადაეცეს წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე. შეტყობინება ძალაში შევა მისი მხარის მიერ ჩაბარების დღეს ან შეტყობინებაში მითითებულ თარიღში, იმის მიხედვით, თუ რომელი უფრო გვიან დადგება.
11.6. მხარეები ვალდებულნი არიან მისამართების/რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში, შეცვლიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში აცნობონ ერთმანეთს აღნიშნულის თაობაზე.
11.7. წინამდებარე ხელშეკრულება სავალდებულოა შესასრულებლად „მხარეთა“ სამართალმემკვიდრეებისა და უფლებამონაცვლეებისათვის. არცერთ მხარეს აქვს უფლება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი უფლებები და ვალდებულებები გადასცეს ნებისმიერ სხვა მესამე მხარეს ამ ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.
11.8. თუ ხელშეკრულების რომელიმე დებულება მიჩნეული იქნება ბათილად, სხვა დანარჩენი დებულებები იმოქმედებენ უცვლელად.
11.9. წინამდებარე ხელშეკრულება სრულად გამოხატავს მხარეთა ნებას, შედგენილია ქართულ ენაზე, სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან, ერთი - „მოიჯარეს“, ორი - „მეიჯარეს“.

12. დავის გადაწყვეტა

12.1. მხარეები მიიღებენ ყველა შესაძლო ზომას, რათა წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მათ შორის წარმოშობილი უთანხმოება ან/და დავა გადაწყვიტონ ურთიერთშეთანხმებით.
12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას გადაწყვეტს საქართველოს სასამართლო ხელშეკრულების პირობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. მხარეთა რეკვიზიტები

„მეიჯარე“	„მოიჯარე“
სს „საქართველოს რკინიგზა” ს/კ 202886010 მის: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15 სს ”თი ბი სი“ ბანკი საიდენტიფიკაციო კოდი N202886010; ანგარიშის ნომერი: GE67TB1159136020100001 ---------- (--------)	მის: ---- --- ბანკის კოდი: --- ანგარიშის ნომერი: ---- ---------- (-----)